

საიდ. №70725/03

IR 1088477

გ ა დ ა ო ო მ ა რ ა მ ე ნ ტ ი ლ ე ბ ა №39-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ე. ე. (თავმჯდომარე), მ. ბ. დ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „იანსენ რ&დ აირლენდ“-ის (Janssen R&D Ireland) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №39-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 25 დეკემბრის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №2596/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „OLYSSIO“ (საიდ. №70725/03 IR 1088477) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-5 კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

## გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 25 დეკემბრის №2596/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „OLYSSIO” მსგავსია კომპანია „Janssen Pharmaceutica NV”-ს სახელზე მადრიდის ოქმით საქართველოში დაცული ნიშნისა „OLISYL” (რეგ. №1044406, რეგ. გავრც. თარ: 09.07.10). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ორივე ნიშანი შესრულებულია, ლათინური ანბანით, სახეზეა როგორც ბგერითი, ასევე უღერადობით მსგავსება, რაც ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას ქმნის მე-5 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის, რის გამოც „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

აპელანტი კომპანია „იანსენ რ&დ აირლენდ” არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანიები არიან მონათესავე კომპანიები და მიეკუთვნებიან ერთ სამრეწველო ჯგუფს (<http://www.janssen.com/our-companies.html>) და შესაბამისად, დაპირისპირებული ნიშნის მფლობელმა „იანსენ ფარმასეტიკა ნვ“-მა გასცა თანხმობის წერილი აპელანტის განცხადებული სასაქონლო ნიშნის საქართველოში გამოყენებასა და რეგისტრაციაზე განცხადებული მე-5 კლასის საქონლისათვის. აპელანტის პოზიციით, ზემოთ აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, აღარ იარსებებს დაცულ და განცხადებულ ნიშანს შორის დაპირისპირების და უარის საფუძველი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 25 დეკემბრის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №2596/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო

ნიშნისათვის „OLYSSIO” (საიდ. №70725/03 IR 1088477) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

სააპელაციო საჩივარზე თანდართული დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის „იანსენ ფარმასეუტიკა ნვ”-ს (Janssen Pharmaceutica NV) თანხმობის წერილი, სადაც დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანია თანახმაა სასაქონლო ნიშნის „OLYSSIO” (IR 1088477) დაცვასა და გამოყენებაზე საქართველოში მისი შვილობილი კომპანიის „იანსენ რ&დ აირლენდ”-ის სახელზე მე-5 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ. ამავე თანხმობის წერილის თანახმად, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიები წარმოადგენენ მონათესავე კომპანიებს. იქიდან გამომდინარე, რომ აპელანტი კომპანია წარმოადგენს დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის შვილობილ კომპანიას, შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა საქონლის მწარმოებლის მიმართ არ მოხდება

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და სასაქონლო ნიშნისათვის „OLYSSIO” (საიდ. №70725/03 IR 1088477) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიც არ არსებობს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „იანსენ რ&დ აირლენდ“-ის (Janssen R&D Ireland) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 25 დეკემბრის №2596/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.
3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „OLYSSIO“ (საიდ. №70725/03 IR 1088477) მიენიჭოს დაცვა საქართველოში მე-5 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ე. ე.

წევრები:

მ. ბ.

დ. ჭიჭინაძე